



**საქართველოს იუსტიციის სამინისტრო**  
**საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**



KA011789110412621

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;  
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

# 117712

19 / მარტი / 2021 წ.

**გადაწყვეტილება**

**ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ**

**ადმინისტრაციული საჩივრის ნომერი:** 121221/17; **თარიღი:** 16.03.2021 წ.

**ადმინისტრაციული საჩივრის წარმომდგენი პირი:** ავთანდილ ნაგერვაძის (პირადი ნომერი 61006001334) წარმომადგენელი მანუჩარ მამულაძე (პირადი ნომერი 61002020724).

**გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომცემი სტრუქტურული ერთეულის/ტერიტორიული სამსახურის დასახელება:** საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის აჭარის რეგიონული ოფისი (შემდგომში - „აჭარის რეგიონული ოფისი“).

**გასაჩივრებული გადაწყვეტილება:** სარეგისტრაციო წარმოების მიმდინარეობის შესახებ №882020659705-12 (08.03.2021) გადაწყვეტილება.

**ადმინისტრაციული საჩივრის წარმომდგენი პირის მოთხოვნა:** გასაჩივრებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

**უძრავი ნივთის მისამართი:** ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბედა ჩხუტუნეთი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, დაინტერესებული მხარე განმარტებულია, როგორც ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება. ამ კოდექსის მე-13 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ პირს უნდა ეცნობოს ადმინისტრაციული წარმოების შესახებ და უზრუნველყოფილ იქნეს მისი მონაწილეობა საქმეში. ამ კოდექსის 95-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩააბას დაინტერესებული მხარე მისი მოთხოვნის საფუძველზე, ხოლო კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში ვალდებულია უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

განსახილველ შემთხვევაში, დაინტერესებულ პირად უნდა ჩაერთოს ნათელა კახიძის (პირადი ნომერი 61006016165) წარმომადგენელი ნუნუ კახიძე (პირადი ნომერი 61006013383), რადგან აღნიშნულ პირს საჯარო რეესტრში სარეგისტრაციოდ წარდგენილი აქვთ მიწის ნაკვეთები, რომელთა საკადასტრო მონაცემები ბედდებაშია № 882020659705 სარეგისტრაციო განცხადებაზე წარდგენილი მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემებთან.

№ 121221/17 ადმინისტრაციული საჩივრის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ის აკმაყოფილებს წარმოებაში მიღებისთვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე, 182-ე, 195-ე მუხლებით გათვალისწინებულ პირობებს და მისი განხილვის დამატარებელი გარემოება არ არსებობს.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების, სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის, რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ მარეგისტრირებული ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედებას.

ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე, 182-ე, 195-ე მუხლების შესაბამისად,

**გადაწყვიტა:**

1. მიღებულ იქნეს წარმობაში ავთანდილ ნაგერვაძის (პირადი ნომერი 61006001334) წარმომადგენლის მანუჩარ მამულაძის (პირადი ნომერი 61002020724), №121221/17 (16.03.2021 წ.) ადმინისტრაციული საჩივარი;

2. წინამდებარე ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაში დაინტერესებულ პირად ჩართულ იქნეს ჩაერთოს ნათელა კახიძის (პირადი ნომერი 61006016165) წარმომადგენელი ნუნუ კახიძე (პირადი ნომერი 61006013383);

3. ადმინისტრაციული საჩივრისა და თანდართული დოკუმენტაციის ასლები გადაეგზავნოს აჭარის რეგიონულ ოფისს, ნათელა კახიძის (პირადი ნომერი 61006016165) წარმომადგენელს ნუნუ კახიძეს (პირადი ნომერი 61006013383) და ავთანდილ ნაგერვაძის (პირადი ნომერი 61006001334) წარმომადგენელს მანუჩარ მამულაძეს (პირადი ნომერი 61002020724);

4. დაინტერესებულ მხარეებს განემართოთ, რომ წარმობაში არსებულ საკითხთან დაკავშირებით, უფლება აქვთ, გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში წარმოადგინონ წერილობითი მოსაზრებები, მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნონ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთობა აწარმოონ წარმომადგენლის მეშვეობით, განაცხადონ აცილება და ისარგებლონ დაინტერესებული მხარის უფლებებით, რაც გათვალისწინებულია მიმდინარე კანონმდებლობით;


5. დაევალოს საჯარო რეესტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას წინამდებარე კორესპონდენციის საჯაროდ გამოცხადება ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე თბილისის იუსტიციის სახლსა (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. № 2) და ბათუმის იუსტიციის სახლში (მისამართი: მერიჯ ხიმშიაშვილი ქუჩა № 7) და საჯაროდ გამოცხადების შესახებ ინფორმაციის წერილობითი ფორმით წარმოდგენა.“

6. წინამდებარე კორესპონდენცია ასევე საჯაროდ გამოცხადდეს საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge).

7. გადაწყვეტილება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

**წინამდებარე ადმინისტრაციული აქტი ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება.**

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/  
შტამგვდასმულია  
ელექტრონულად 

დავით დევიძე